# საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება №50

2011 წ. „11“ 04

ქ. თბილისი

**სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 11 აპრილის №5 სხდომის ოქმის შესაბამისად

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. მიჩნეულ იქნას, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ვერ აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს და უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე:

| № | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები | საფეხური | კრედიტები | მისანიჭებელი კვალიფიკაცია |
|---|---|---|---|---|
| 1 | მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების (დარგის) მანქანათა ტექნიკოს-ოპერატორი | IV | 60 | მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მანქანათა მეხუთე საფეხურის ტექნიკოს-ოპერატორი |
| 2 | მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების (დარგის) მანქანათა ტექნიკოს-ოპერატორი | V | 60 | მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მანქანათა მეხუთე საფეხურის ტექნიკოს-ოპერატორი |

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 11 აპრილის №5 სხდომის ოქმის მე-8 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

საბჭოს თავმჯდომარე

კახი ყურაშვილი

საბჭოს მდივანი

გაიანე სიმონია